სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

21 აგვისტო, 2025 წ.

წარმომადგენლობითი საბჭოს
გადაწყვეტილება №07-01/25

„ბსუ-ს პერსონალის პროფესიული განვითარების დაფინანსებისა და სტატიის გამოქვეყნებისათვის წახალისების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს **2022 წლის 20 აპრილის N07-01/21 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–10 მუხლის, ბსუ-ს რექტორის მოადგილის სასწავლო და სამეცნიერო მიმართულებით სამსახურებრივი ბარათის (N992702; 18.08.2025), წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის და სხდომის ოქმის (N07-02/07 21.08.2025წ.) საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გადაწყვიტა:

1. „ბსუ-ს პერსონალის პროფესიული განვითარების დაფინანსებისა და სტატიის გამოქვეყნებისათვის წახალისების წესის დამტკიცების შესახებ“ **ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 20 აპრილის N07-01/21 გადაწყვეტილებაში შევიდეს ცვლილება,** კერძოდ, გადაწყვეტილებით დამტკიცებული **წესის** (N1 დანართის) მე-5 მუხლის („აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის მიერ სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობისათვის დაფინანსების მიღების წესი“) **მე-7 პუნქტის** „გ″ ქვეპუნქტში, <u>მოხსენების წარდგენისათვის</u> დაფინანსების თანხის ოდენობა ნაცვლად 2000 ლარისა, განისაზღვროს 3000 ლარით, ხოლო პოსტერული მოხსენების წარდგენისათვის ნაცვლად 1500 ლარისა, განისაზღვროს 2000 ლარით და საბოლოოდ „გ“ ქვეპუნქტი **ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„გ) ქვეყნის გარეთ (უცხოეთში) გასამართ სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობის (მივლინების) დაფინანსებისათვის დასაქმებულზე 1 კალენდარული წლის განმავლობაში გაცემული თანხა არ უნდა აღემატებოდეს: <u>მოხსენების წარდგენის შემთხვევაში</u> - **3000** ლარს, პოსტერული მოხსენების წარდგენის შემთხვევაში - 2000 ლარს, ხოლო ონლაინ მოხსენების წარდგენის შემთხვევაში - 1000 ლარს.“.

2. წინამდებარე გადაწყვეტილება და კოდიფიცირებული „ბსუ-ს პერსონალის პროფესიული განვითარების დაფინანსებისა და სტატიის გამოქვეყნებისათვის წახალისების წესი“ განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
3. გადაწყვეტილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, ფაკულტეტებს, დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია).
4. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. N30).

წარმომადგენლობითი საბჭოს
სპიკერი, პროფესორი **ჯემალ კარალიძე**